

2011 წლის ეკონომიკური პარადოქსები, სკანდალები და... შნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატები

გაზეთი “ყველა სიახლე” – 28 დეკემბერი 2011 წელი – 3 იანვარი 2012 წელი, № 51

„2011 წელი სავსე იყო ეკონომიკური სკანდალებითა და პარადოქსებით“ – გვითხრა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლადო პაპავაშ, რომელსაც უკვე მიმავალი წლის მოვლენების შეჯამება ვთხოვეთ:

– 2011 წელი დიდად არ განსხვავდებოდა წინა წლებისაგან, რადგანაც ის ტენდენციები, რომელიც ჩვენს ეკონომიკაში „ნაციონალების“ მოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ამ ერთი წლის განმავლობაშიც გაგრძელდა.

– 2011 წლის ეკონომიკურ კურიოზიად მივიჩნევდი ნაგვის ოდენობის გაზომვას კილოგრამ საათებით. სხვათა შორის, ნობელის პრემიის გარდა არსებობს მისი პაროდა – შნობელის პრემია, რომელიც ენიჭება ყველაზე სასაცილო, კურიოზული გამოგონებებისა თუ აღმოჩენების ავტორებს. მაგალითად, შარშან შნობელის პრემია მიენიჭა ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორს სიმონ რიტველდს და მის ჯგუფს იმისათვის, რომ ამტკიცებენ თითქოს ასთმის მკურნალობა ატრაქციონ “ამერკულ გორაკებზე” სრიალით შეიძლებ. აი, დაახლოებით ასეთივე “აღმოჩენაა” დასუფთავების გადასახადის გაზომვა კილოგრამ-საათებითაც. ვისაც გაუჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება ნაგავი გაიზომოს კილოგრამ-საათებით, შეუძლია თბილისში ჩამობრძანდეს და ნახოს, როგორ ხდება ეს ჩვენს დედაქალაქში. ასე რომ, თბილისის მერიას თავისუფლად შეუძლია ამ ნომინაციაში გაიმარჯვოს და „შნობელის პრემიის“ ლაურეატიც კი გახდეს!

– თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე დიდი სკანდალი ქართულ ეკონომიკაში უკვე მიმავალ 2011 წელს?

– ყველაზე დიდი სკანდალი, რაც გასულ წელს მოხდა, ეს იყო სახელმწიფოს დაპირისპირება „ქართუ ბანკთან“. საქმე ის არის, რომ ჩვენი საბანკო სისტემა 1995 წლიდან მოყოლებული საკმაოდ სტაბილური იყო, რასაც ხელი შეუწყო თავის დროზე მიღებულმა კანონებმა ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების შესახებ. მართალია, 2008 წელს საბანკო სისტემას

სერიოზული ზიანი ბატონმა ლადო გურგენიძემაც მიაყენა, რომელმაც ეროვნული ბანკის ფუნქციები დააკინა, მაგრამ ამ ბანკში გიორგი ქადაგიძის მოსვლის შემდეგ სიტუაცია არსებითად შეიცვალა. ხოლო ის, რაც მოხდა 2011 წლის შემოდგომაზე „ქართუ“ ბანკის ირგვლივ ვერანაირ ჩარჩოში ვერ ჯდება. პრაქტიკულად, ეროვნულმა ბანკმა და მთელმა ქართულმა სახელმწიფომ პოლიტიკური ბრძოლა გამოუცხადეს „ქართუ ბანკს“. ეს არის ბრძოლა წესების გარეშე – დაყაჩადება, ფულის წართმევა და ყველა ის უკანონო ქმედება, რაც „ქართუს“ წინააღმდეგ განხორციელდა და ჯერ კიდევ ხორციელდება. მათ შორის იყო ისეთი კანონის მიღება დაჩქარებული წესით, რომლის საფუძველზეც გირაოდ ჩადებული ქონების წართმევის უფლება მთავრობას ენიჭება. რატომდაც ეს კანონი მხოლოდ „ქართუ“ ბანკს შეეხო, რაც იმის დასტურია, რომ სახელმწიფომ აშკარა პოლიტიკური ომი გამოუცხადა „ქართუს“. რატომ პოლიტიკური? – იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც ბანკის მეპატრონებმ, ბიძინა ივანიშვილმა, ქართულ პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. მე მიმაჩნია, რომ ეს არის სერიოზული დარტყმა ქართული საბანკო სისტემის სტაბილურობაზე და ამავდროულად, სახელმწიფოს მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომა. ასეთი რამ ქართული სახელმწიფოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, ეს არის პირველი და ძალიან უარყოფითი პრეცედენტი.

– ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, როგორ შეჰქონდათ „ქართუში“ მიზერული თანხა რიგით მოქალაქეებს

– დიახ, ეს იყო კიდევ ერთი გამორჩეული მოვლენა: როდესაც ბანკს ფინანსური პრობლემები ექმნება, როგორც წესი, მეანაბრეები ცდილობენ ამ ბანკიდან თანხები გაიტანონ, რომ გაკოტრებას გადაურჩნენ. იმ დღეებში ერთ-ერთმა უცხოელმა მითხვა: როდესაც „ქართუ ბანკი“ დაყაჩადეს და მის კლიენტებს ანგარიშები გამოატანინეს, ბანკის შენობასთან ხალხი რომ დავინახე, მეგონა, რომ თავიანთი ანგარიშების გასატანად იდგნენო. გაჭირვებულ ხალხს თავისი მცირედი დანაზოგი შეჰქონდა ბანკში, რითაც დამტკიცდა, რომ „ქართუ ბანკს“ სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა საზოგადოებისაგან. ესეც ნამდვილი სკანდალი იყო, რადგან მსგავსი რამ საბანკო ისტორიაში არ ხდება. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ: ამ მეთოდებით ყველა ბანკს ემუქრებიან, აფრთხილებენ, რომ მათი წარმომადგენელი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს პოლიტიკაში, თორემ ნებისმიერ მათგანს ანალოგიური პრობლემები შეექმნება. ასეთ დროს ბანკები ხმას რომ არ იღებენ, მესმის, მაგრამ რატომ

დუმს „საბანკო ასოციაცია“? ყველაფერზე აკეთებენ განცხადებას გარდა „ქართუ ბანკისა“. „საბანკო ასოციაცია“ უნდა იყოს ბანკების ინტერესების ყველაზე ერთგული დამცველი, ასე ხდება ყველგან. საქართველოში კი ამ ორგანიზაციის წარმომადგენელებს პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული.

– რამდენჯერმე განაცხადეთ, რომ ჰიდროელექტროსადგურებს თანდათან გპარგავთ...

– დიახ, მკვეთრად უარყოფით მოვლენად მიმაჩნია, რომ ქართული ჰიდროელექტროენერგეტიკა პრაქტიკულად რუსების ხელში გადადის. 2011 წლის მაისის ბოლოს „ხრამპესი-1“ და „ხრამპესი-2“ მიეყიდა „ინტერ რაოს“. გარდა ამისა, კიდევ სამი ჰიდროსადგურის მშენებლობის ლიცენზია გადაუცა ხსენებულ რუსულ კომპანიას, ჯამური 193 მილიონი დოლარის ოდენობით. პრაქტიკულად საქართველოს მიემართება რუსული ლიბერალური იმპერიისაკენ, რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ერთი მხრივ ცხადდება, რომ რუსები არიან ჩვენი ოკუპანტები და მეორეს მხრივ, რუსულ კაპიტალს, რომელიც არც მალავს, რომ ლიბერალური იმპერიის შექმნა სურს, მნიშვნელოვან ობიექტებს ვუთმობთ. ამავე დროს, ვაძლევთ ლიცენზიას ახალ-ახალი ობიექტების ასაშენებლად. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ახალი ფენომენი. თუ „ქართუ“ ბანკის ირგვლივ დატრიალებული მოვლენები სრულიად ახალი ფენომენი იყო, ხოლო რულული კაპიტალი შემოყვანა გაგრძელებაა იმ ქმედებისა, რომელსაც საფუძველი 2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩაეყარა, როდესაც „პრომიშლენიე ინვესტორს“ მიჰყიდეს ქართული ოქროსა და სპილენძის წარმოება. ასევე უნიკალური, გამორჩეული შეცდომაა დაშვებული საბიუჯეტო სფეროშიც, სადაც რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია ეწ. სხვა ხარჯებმა, რომელმაც მილიარდ ლარს გადააჭარბა. ეს არის გაუშიფრავი თანხები, რომელიც გამოყენებული იქნება პოლიტიკური კორუფციისათვის იმიტომ, რომ 2012 წელი არჩევნების წელია. თუმცა, ეს მოვლენაც არ არის ახალი და მოულოდნელი. გაბერილი „სხვა ხარჯები“ ყოველთვის იყო დამახასიათებელი ჩვენი ბიუჯეტისათვის, უბრალოდ, წელს ამ ხარჯებმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.

– ბატონო ლადო, რადგანაც შობა-ახალი წელი მოდის, აჯობებს ეს ინტერვიუ დადებითი განწყობით დაგასრულოთ. რა მიგაჩნიათ მიღწევად 2011 წლის ქართულ ეკონომიკაში?

– დადებითი მოვლენად მიმაჩნია ის, რომ 2011 წელს მოხერხდა რესტრუქტურიზაცია 2008 წელს აღებული ნახევარმილიარდიანი ვალისა, რომელიც ევროობლიგაციების გამოშვების შედეგად დაგვეკისრა. ვალის

გადახდა გვიწევდა 2013 წელს, რესტრუქტურიზაციით ამ ვალის 83 პროცენტი გადასახდელი გვექნება 2021 წელს, ანუ ჩვენ ავიდეთ ახალი ათწლიანი ვალი, რომლითაც მოხერხდა ძველი, ხუთწლიანი ვალის 83 პროცენტის დაფარვა. ამ მოვლენას დადებითად მივიჩნევ იმიტომ, რომ ვალის აღება 2008 წელს სერიოზული შეცდომა იყო, რომლითაც ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. ამ ვალის გასტუმრების ვადა სწორედ 2013 წელი, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების წელი უნდა ყოფილიყო და ეს თანხა მიღიარდ ლარზე მეტი იქნებოდა. ბიუჯეტში მიღიარდზე მეტი ლარის გამოძებნა საგარეო ვალის გადასახდელად მაშინ, როდესაც ქვეყანაში უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. იმედი ვიქონიოთ, რომ ათი წლის შემდეგ ჩვენი ეკონომიკა უკეთეს მდგომარეობაში იქნება, ხოლო რადგანაც 2021 წელი კონსტიტუციიდან გამომდინარე, არ არის საარჩევნო წელი, ეს შედარებით მშვიდი წელი იქნება და თუ ეკონომიკური აღმავლობაც ხელს შევიწყობს, იმედია, ამ ვალის გადახდის საშუალება საქართველოს ექნება. გარდა ამისა, დადებით მოვლენად მივიჩნევ იმასაც, რომ 2011 წლის დეკემბერში ოფიციალურად გამოცხადდა მოლაპარაკებების დაწყება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ – ბრიუსელი და თბილისი შეთანხმდნენ, რომ ეს მოლაპარაკებები ოფიციალურად დაიწყება. სწორედ ასეთ დროს ამბობენ, “სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს” იმიტომ, რომ სამი წლის განმავლობაში ველოდით მოლაპარაკებების დაწყებას და ახლა არ ვიცით რამდენ ხანს გაიჭიმება დროში თვითონ მოლაპარაკებები, თუმცა ის, რაც ფორმალურად გაფორმდა, მაინც დადებითი მოვლენაა. მესამე დადებით მოვლენად მივიჩნევ საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეულ შთანხმებას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შესახებ. საქმე ის არის, რომ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც საქართველო იყო ჩატენებული, უკეთეს გადაწყვეტილებას ქართული მხარე ვერ მიიღებდა. ეს ისეთი წინადაღებაა, რომლის წყალობითაც საქართველომ შინარჩუნა ნორმალური ურთიერთობები თავის მთავარ დასავლელ პარტნიორებთან – აშშ-სთან და ევროკავშირთან. 2011 წელს მომხდარ მოვლენებს შორის სწორედ ამ სამ მოვლენას მივიჩნევ დადებითად.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე